ბატონო პრეზიდენტო დოქტ. პროფ. კარლ ჰაინც ჰაანო

თანახმად თქვენი და გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტის – დრ.პროფ. ე.ბ.ლაშქარაძეს შორის სიტყვიერი შეთანხმებისა, გიგზავნით ჩემს სტატიას " Beitrag zum Verständnis für das Wesen der Natur (des Gottes) in der philosophischen Lyrik des jungen Goethe und von Wascha-Pschawela".

ვიმედოვნებ, რომ სტატია არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული გერმანელი მკითხველისათვის ამ ორი შემოქმედის მსოფლმხედველობის ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით.

ორიოდე სიტყვით დავსძენ, რომ ქართველი კლასიკოსი – ვაჟა-ფშაველა (მე-19 საუკ.II ნახევარი) მსოფლმხედველობრივად ღრმად ენათესავება გოეთეს მეტადრე, პანთეიზმის საკითხში. ხოლო მისი "გველისმჭამელი" უპირველესად "ფაუსტური" პოემაა.

მე უკვე 4 წლობა მივუძღვენი გოეთესა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ტიპოლოგიურ შესწავლას. ხოლო ინტერესი ამგვარი კვლევისთვის მაშინ გამიჩნდა, როცა ჩემს სადისერტაციო შრომაზე – წმინდად გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაზე ვმუშაობდი. (უკვე მზად მაქვს ნაშრომი "პანთეიზმის პრობლემა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში", რომლის დაცვა, იმედია, ახლო დროში შედგება თბილისის სახ.უნივერსიტეტში) ამჯერად ვმუშაობ "მიმეზისის" პრობლემაზე გოეთესა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. მაგრამ სტატიაში, რომელსაც თქვენ გიგზავნით, შემოვიფარგლე ლმერთის საკითხით ამ ორი შემოქმედის ფილოსოფიურ ლირიკაში.

ამავე დროს, წესისამებრ გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ეს ნაშრომი გამოიცეს ერთხელ. ყველა დანარჩენ საავტორო უფლებას ვიტოვებ მე.

სტატია წესისამებრ დამოწმებულია საქ.სსრ მთავლიტში, N ....

სტატია წესისამებრ, რეგისტრირებულია საქ.სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოში.

კვლავ სურვილებით

SOVLAB